

ქართული ენა და ლიტერატურა

IX

მასწავლებლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის მიერ (ბრძანება №375; 18.05.2012)

ავტორები:

ვახტანგ როდონია (ჯგუფის ხელმძღვანელი),
ნინო ნაკუდაშვილი,
ავთანდილ არაბული,
მარინე ხუციშვილი

სწავლანი

2012

© „სწავლანი“, 2012

ISBN 978-9941-9271-7-1

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა	4
IX კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში	9
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან – შინაარსისა და მიზნების რუკა	28
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები და გაკვეთილის სცენარები	37
შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები შეფასებისათვის	52
საჭირო რესურსები	60

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა

IX კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

IX კლასის სახელმძღვანელო VII და VIII კლასების სახელმძღვანელოების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს. ამავე დროს ის სწავლების საბაზო საფეხურის (VII – IX კლ.) დამაგვირგვინებელი სახელმძღვანელოა, რომელმაც სწავლების გარკვეული ეტაპი უნდა დაასრულოს და მოსწავლეები ახალ საფეხურზე გადასასვლელად, ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის შესასწავლად უნდა მოამზადოს. ავტორთა კოლექტივის კონცეფციის თანახმად, მომდევნო სამი კლასი (X, XI, XII) ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის შესწავლას ეთმობა. კერძოდ, X კლასში – ძველი, XI კლასში – ახალი და XII კლასში უახლესი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებია შემოთავაზებული.

IX კლასის სახელმძღვანელოთი მთავრდება მიზანმიმართული, ანუ ე.წ. სტრატეგიული, კითხვის ხერხებისა და ტექსტის მხატვრული ანალიზის ელემენტების შესწავლის პირველი ეტაპი, რომელიც სასკოლო განათლების ზედა საფეხურზე უფრო სერიოზული და რთული ამოცანების დასმის საშუალებას იძლევა.

მაგალითად, VII კლასიდან ჩვენ მიზანმიმართულად ვაცნობთ მოსწავლეებს ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ტექსტების ფრაგმენტებს და მათი კითხვის სტრატეგიებს (ტექსტის პერიფრაზირება, სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით და სხვ.). ამ სახელმძღვანელოში ეს ტრადიცია გრძელდება და ამასთანავე რუბრიკაში „ენის ისტორია“ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ძველი ქართული ენის არსებით თავისებურებებს და ივარჯიშონ მათ ამოცნობაში, რაც ნიადაგს ამზადებს იმისათვის, რომ X კლასიდან ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა დაიწყონ. როგორც ცნობილია, აქამდე ძველი ლიტერატურის სწავლება იწყებოდა

მოსწავლეთა ამგვარი მომზადების გარეშე, რაც განაპირობებდა ამ ლიტერატურის სწავლებაში არსებულ თითქმის დაუძლეველ სირთულეებს. ავტორთა კოლექტივის კონცეპტუალური ხედვის თანახმად, ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება, რომელიც საშუალო საფეხურის (VII – IX კლ.) სახელმძღვანელოებით არის შემზადებული, X კლასში უკვე ნაკლებ სირთულეებს გამოიწვევს.

სწავლების ზედა საფეხურისათვის (X – XII კლ.), ანუ ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის შესწავლისათვის ამზადებს მოსწავლეებს აგრეთვე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კითხვის სტრატეგიები, როგორცაა, მაგალითად, ნაწარმოების კითხვა ლიტერატურულ და ისტორიულ კონტექსტზე დაყრდნობით.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლიტერატურული მასალა დაყოფილია თავებად თემატური და ჟანრობრივი პრინციპის მიხედვით. თითოეული თავის სტრუქტურა მკვეთრად არის განსაზღვრული სწავლების მეთოდიკაზე დაყრდნობით. გამოყოფილია ტექსტის წაკითხვამდე, ტექსტის კითხვის პროცესში და კითხვის დასრულების შემდგომი (შესამომნებელი) აქტივობები. „ტექსტის წაკითხვამდე“ აქტივობები: არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირება, ტექსტის ანალიზის ელემენტები და კითხვის სტრატეგია – კითხვის პროცესის მოდელირების საშუალებას აძლევს მასწავლებელს. კითხვის შემდგომი აქტივობები კი, სადაც შესაბამისი სააზროვნო პროცესები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით არის განსაზღვრული მასწავლებელს მოსწავლეთა ცოდნის შემომნების პროცესს გაუადვილებს.

როგორც ცნობილია, ბლუმის ტაქსონომია სააზროვნო უნარების კლასიფიკაციაა და ის მეცნიერმა საგანგებოდ შექმნა საგანმანათლებლო მიზნებისათვის 1956 წელს. მან ადამიანის აზროვნების ანუ შემეცნების უნარი ექვს საფეხურად დაყო. ეს საფეხურებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალი-

ზი, სინთეზი, შეფასება. ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე რთულია და შესაბამისად აზროვნების უფრო მაღალ დონედ განიხილება.

ცოდნა აზროვნების პირველი საფეხურია და ინფორმაციის ფლობას გულისხმობს. ცოდნის გამოსავლენად დასმული კითხვებით მონმდება ახსოვს თუ არა *მოსწავლეს* ფაქტები, მოვლენები, ტერმინები.

ზმნები და საკვანძო სიტყვები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ცოდნის გამოსავლენად დასმულ ამოცანებსა და კითხვებში: დაასახელე, ჩამოთვალე, გადმოეცი, აღწერე, მოძებნე, გაიხსენე, გამოყავი; რომელია სწორი და რომელი მცდარი? ვინ? რა? როდის? სად? როგორ? რა ჰქვია? რა უთხრა? რა უპასუხა? როგორ დამთავრდა? რა მოჰყვა?..

გაგება გულისხმობს, ესმის თუ არა მოსწავლეს ფაქტებისა და მოვლენების არსი, შეუძლია თუ არა მათი ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირება, განმარტება.

ზმნები და საკვანძო სიტყვები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ გაგების გამოსავლენად დასმულ ამოცანებსა და კითხვებში: შეადარე, დაუპირისპირე, დააჯგუფე, დაახასიათე, განმარტე, გადმოეცი შენი სიტყვებით, მოიყვანე მაგალითი; როგორ გესმის? რატომ გამოიყენა ეს ხერხი მწერალმა? რისი თქმა სურდა ავტორს? როგორ გგონია, რა მოჰყვება გმირის საქციელს? რა განსხვავებაა..? როგორ ფიქრობ, რატომ მოგვითხრო ეს ამბავი მთხრობელმა?..

გამოყენება გულისხმობს შეუძლია თუ არა მოსწავლეს პრობლემის გადაჭრა მიღებული ცოდნის, ნაცნობი ფაქტების და შესწავლილი ტექნიკის გამოყენებით განსხვავებულ სიტუაციაში.

ზმნები და საკვანძო სიტყვები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ გამოყენების უნარის გამოსავლენად მიცემულ დავალებებში: გამოიყენეთ, თარგმნეთ, გადააკეთეთ პიესად, დაწერეთ მოცემული სქემის მიხედვით, რა შეიცვლებოდა, რომ... რა კითხვას დაუსვამდით... როგორ მოიქცეოდა პერსონაჟი, თუ...

ანალიზი მოცემული ინფორმაციის დანაწევრების (მას-

ში ნაწილების გამოყოფის), მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვის, დასკვნის გამოტანის, მტკიცებულების მონახვის უნარს გულისხმობს.

საკვანძო ფრაზები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ანალიზის უნარის გამოსავლენად დასმულ კითხვებში: რამდენ ნაწილად დაყოფდით? რატომ ფიქრობთ...? რა მოტივი ამოძრავებდა პერსონაჟს? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? რა კავშირია...? როგორ დაახასიათებდით? რა მტკიცებულებას მოიყვანდით?

სინთეზი ნაცნობი ინფორმაციის ან ელემენტების კომბინაციის გზით ახლის შექმნის უნარს გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სინთეზის უნარის გამოსავლენად მიცემულ დავალებებში: დაწერე თხზულება, მოიგონე სიუჟეტი, ჩამოაყალიბე წესი, გადაწყვიტე, მოიგონე...

შეფასება გულისხმობს საკუთარი აზრის გამოთქმისა და დასაბუთების უნარს. შეფასება ყოველთვის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს. „მომწონს“, „არ მომწონს“ – ემოციური გამოხმაურებაა და არა შეფასება. ნაწარმოების კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა შესაძლებელია (და სასურველიცაა) დასვას კითხვა: როგორ მოგეწონათ ნაწარმოები? ან რა განცდა დაგეუფლათ ლექსის კითხვის პროცესში? და სხვ. რაც მოსწავლეებს ნაწარმოებზე ემოციური რეაგირების საშუალებას მისცემს და ნიადაგს მოამზადებს შემდგომი მსჯელობისთვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არ არის შეფასება, ვინაიდან შეფასება გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს და ის ემოციური რეაგირება კი არა, აზროვნების მაღალი დონეა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარსაც გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები, რომლებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ შეფასების უნარის გამოსავლენად მიცემულ კითხვებსა და დავალებებში: შეაფასეთ, ურჩიეთ, დაიცავით, უარყავით, გაასწორეთ, რატომ იყო ეს გადაწყვეტილება მცდარი? რა რჩევას მისცემდით...? რამდენად სწორი იყო...?

კითხვათა კლასიფიკაცია ბლუმის ტაქსონომიის მიხედ-

ვით, რომელიც მოცემულია ჩვენს სახელმძღვანელოში, დაეხმარება მასწავლებლებს, გამოარჩიონ ერთმანეთისაგან აზროვნების ზედა და ქვედა დონეების გამოსავლენი შეკითხვები და ადეკვატურად გამოიყენონ ისინი, როგორც სწავლების, ისე მოსწავლეთა შეფასების პროცესში.

ჩვენი სახელმძღვანელოს ერთ-ერთი სტრუქტურული სი-ახლეა ის, რომ ჩვეულებრივ წერიტი და ზეპირი მეტყველების დავალებებთან ერთად, ჩვენ ვთავაზობთ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ზეპირი და წერიტი მეტყველების სემინარებს. სემინარები საკლასო მუშაობისთვისაა განკუთვნილი, როცა მოსწავლეები კლასში მუშაობენ გარკვეული პრობლემის გადაჭრაზე. მასწავლებლის ამოცანაა შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი გარემო და დაეხმაროს მათ მიცემული ამოცანების გადაჭრაში. ამგვარ სემინარს შეიძლება დაეთმოს არა ერთი, არამედ რამდენიმე გაკვეთილი ზედიზედ.

სახელმძღვანელოს ყველა თავის სტრუქტურა ერთნაირია. სახელმძღვანელო შედგება რვა თავისაგან. ესენია:

1. „საუკუნო საგზალი“
2. „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“
3. ფესვები
4. საკუთარი თავის ძიებაში
5. „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“
6. სიბრძნე სიცილისა
7. ლიტერატურა და ისტორია
8. უკვდავი პერსონაჟი

IX კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა

IX კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყვე- ლება	კითხვა	წერა
<p>ქართ. IX. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისის სადავო ან პრობლემურ საკითხზე.</p> <p>ქართ. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიის მონაწილეთა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. IX. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა განსხვავებული ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე.</p>	<p>ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.</p> <p>ქართ. IX. 7. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების ანალიზისას.</p>	<p>ქართ. IX. 9. მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.</p> <p>ქართ. IX. 10. მოსწავლეს შეუძლია დეტალური ინფორმაციის, განსხვავებული თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა.</p> <p>ქართ. IX. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p>

<p>ქართ. IX. 4. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.</p> <p>ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p>ქართ. IX. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p>ქართ. IX. 12. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი ტექსტის სტრუქტურა და ენობრივი ნორმები.</p> <p>ქართ. IX. 13. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.</p>
--	--	---

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. IX. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პრობლემურ საკითხებზე ზეპირი მოხსენების მომზადებისას ითვალისწინებს კონკრეტული აუდიტორიის სოციალურ-კულტურულ ინტერესებს, ცოდნას და ა.შ.;
- იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას (მიზეზ-შედეგობითი, ანალოგიაზე ან ინდუქციაზე დამყარებული არგუმენტები);
- მსჯელობისას იყენებს ციტატებს საინფორმაციო წყაროებიდან და მხატვრული ტექსტებიდან, სხვადასხვა ფაქტობრივ და სტატისტიკურ მონაცემებს და ა. შ.;
- ამოიცნობს ზეპირ მოხსენებაში პრობლემურ საკითხ-

თან დაკავშირებით გამოთქმულ თვალსაზრისსა და არგუმენტებს და შეაფასებს, რამდენად დამაჯერებელი და ეფექტურია არგუმენტაცია;

- ისმენს სხვების მოსაზრებებს მის მიერ დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით და ეთანხმება/არ ეთანხმება, ითვალისწინებს/არ ითვალისწინებს მათ სათანადო არგუმენტაციითა და ეთიკის ნორმების დაცვით.

ქართ. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიის მონაწილეთა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და განიხილავს ზეპირ ტექსტში პრობლემებს, რომელთა ერთმნიშვნელოვნად გადაჭრა რთულია;
- აყალიბებს საკუთარ თვალსაზრისს პრობლემის შესახებ გამართულ ჯგუფურ დისკუსიებში და განსხვავებული თვალსაზრისის გასააზრებლად სვამს კითხვებს;
- აზუსტებს, სწორად გაიგო თუ არა სხვების მიერ გამოთქმული თვალსაზრისი (მაგ., „თუ სწორად გავიგე...“, „თუ არ ვცდები...“);
- განიხილავს ზეპირ ტექსტში პირდაპირ გადმოცემულ ან ნაგულისხმევ თვალსაზრისებს სხვადასხვა კონტექსტში (ცხოვრებისეული ან ლიტერატურული გამოცდილების, მისთვის ცნობილი ფაქტების, სტატისტიკური მონაცემების და ა.შ.);
- დრამატული მონოლოგის ან როლური ტექსტის სახით წარმოადგენს განსხვავებული თვალსაზრისის მისეულ ინტერპრეტაციას;

- ისმენს რადიო და სატელევიზიო ინტერვიუებს, გამოსვლებს, განიხილავს მათში ჩამოყალიბებულ ან ნაგულისხმევ განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- განსხვავებული თვალსაზრისების განხილვისას იყენებს აუდიო და ვიზუალურ (მულტიმედია, ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციები და სხვა თვალსაჩინო მასალა) საშუალებებს.

ქართ. IX. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა განსხვავებული ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს მსმენელის სოციალურ-კულტურული ინტერესები, ცოდნა და შეხედულებები მოსმენილი ტექსტის მისეულ ინტერპრეტაციაზე (მაგ., რას მიაქცევდა ყურადღებას პოლიტიკოსის გამოსვლაში გლეხი, სახელმწიფო მოხელე, ხელოვანი, მოზარდი და ა.შ.);
- ამოიცნობს და შეაფასებს დისკუსიების, დებატების, პოლიტიკური გამოსვლების, დრამატული მონოლოგის ეფექტურ ენობრივ საშუალებებს (მაგალითად, „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“);
- საუბრობს იმაზე, თუ როგორ იცვლება მოსაუბრის ენა ერთსა და იმავე საკითხზე მსჯელობისას აუდიტორიის სოციალურ-კულტურული ინტერესების, ცოდნისა და შეხედულებების გათვალისწინებით;
- ამოიცნობს, ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი რა ნიშნები შემოდის ენაში მსჯელობის წერილობითიდან ზეპირ ფორმატში გადასვლისას (მაგალითად, ჟესტიკულაციის, მიმიკის, ინტონაციის, ხმის დონის და სხვა არავერბალური საშუალებების გამოყენება საქ-

მიან, ფორმალურ და არაფორმალურ სიტუაციაში, დე-ბატეებში და ა.შ.).

ქართ. IX. 4. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსხვავებული თვალსაზრისის წარმოდგენისას საკომუნიკაციო ამოცანის, მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით შეარჩევს დარწმუნების ენობრივ ფორმულებს, რიტორიკულ ფიგურებს;
- ამოიცნობს და მრავალპლანიან ტექსტზე მსჯელობისას მართებულად იყენებს შესაბამის ენობრივ სტრუქტურებსა და მოდელებს: მიზეზ-შედეგობრივი მსჯელობისთვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს, შესაბამის კავშირებს, გრამატიკულ ფორმებს, სპეციალურ ლექსიკას და ა. შ. (მაგ., „რადგან...“, „თუ ... მაშინ“, „მაშასადამე“, „ესე იგი“, „აქედან გამომდინარე...“ და სხვ.);
- ანალოგიაზე დამყარებული მსჯელობისას მართებულად იყენებს შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ კონსტრუქციებს, კავშირებს, ლექსიკას (მაგ., „შესაბამისად...“, „...გათვალისწინებით“, „...მსგავსად“, „როგორც, ... ისე...“ და სხვ.);
- მართებულად იყენებს კერძობითი მსჯელობის განზოგადებისათვის, ანუ ინდუქციური მსჯელობისთვის დამახასიათებელ ენობრივ სტრუქტურებს, მოდელებს, ლექსიკას.

ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ ეცნობა აუდიტორიას (სოციალურ-კულტურულ ფონს, ასაკს, ცოდნის დონეს, ინტერესებს და ა. შ.), შეადგენს გამოსვლის გეგმას, ქმნის როლურ ტექსტს, გადის რეპეტიციებს, ამონმებს რეგლამენტს და ა. შ.;
- აუდიტორიის ყურადღების მობილიზაციისათვის ადეკვატურად იყენებს ინტერვალს მეტყველებაში, ხმის დონეებს, სხეულის ენას, უსადაგებს ამ საშუალებებს ტექსტს;
- ოპერატიულად რეაგირებს აუდიტორიის რეაქციაზე: ამყარებს და აზუსტებს დისკუსიის ან კამათისათვის საჭირო არგუმენტებს, შეაქვს განმარტებები, რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავეს და სხვ.;
- სხვადასხვა საშუალებით (მოკლე განმარტებების ჩართვა, გამეორება, ხმის აწევ-დანევა და სხვ.) გამოკვეთს მნიშვნელოვან ადგილებს ზეპირი მოხსენებიდან;
- ითვალისწინებს დისკუსიისა და კამათის მონაწილეთა შესაძლო არგუმენტებს და ამზადებს შესაბამის პასუხებს;
- საპირისპირო არგუმენტების მოსმენისას ჩაინიშნავს ძირითადას და მთავარს, რასაც შემდგომში იყენებს კონტრარგუმენტებისათვის;
- აუდიტორიის დასაინტერესებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებას (მაგ. ანეკდოტებს, ვიზუალურ მასალას, ემოციურ წიაღსვლებს და ა. შ.).

მიმართულება: კითხვა

ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხულობს სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს, უკეთ გასააზრებლად ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ ზოგად შინაარსზე, არამედ დეტალებსა და მნიშვნელოვან ნიუანსებზეც;
- აანალიზებს ტექსტში მოცემულ ფაქტობრივ და კონცეპტუალურ ინფორმაციას და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
- ახდენს სხვადასხვა სახის ტექსტში წარმოდგენილი მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების შედარება-შეპირისპირებას;
- კითხულობს სხვადასხვა მოცულობისა და სირთულის ტექსტებს, მსჯელობს თემებსა და საკამათო საკითხებზე და ხედავს პრობლემის გადანყვეტის სხვადასხვა პერსპექტივას;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ნაკითხულ ტექსტებში წარმოდგენილ განსხვავებულ თვალსაზრისებზე;
- აკვირდება, ამოიცნობს და შეაფასებს ავტორის ან პერსონაჟის/პერსონაჟების დამოკიდებულებას კონკრეტული გმირის, აღწერილი მოვლენების მიმართ;
- შეაფასებს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ კონ-

ფლიქტს/პრობლემას, ასევე ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის ხედვას და პოზიციას ეპოქის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში;

- კითხულობს პრესას, ელექტრონულ ტექსტებს, შეაფასებს წარმოდგენილ არგუმენტებსა და გამოთქმულ თვალსაზრისებს;
- შეაფასებს წაკითხულ ტექსტებში ასახულ თვალსაზრისებს განსხვავებული (თავისი, ოპონენტის, ნეიტრალური) პოზიციებიდან;
- უკავშირებს წაკითხულ ტექსტში გადმოცემულ ან ნაგულისხმევ თვალსაზრისებს ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მხატვრულ და სამეცნიერო-დოკუმენტურ ფილმებს, სპექტაკლებს და სხვ.

ქართ. IX. 7. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების ანალიზისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ენობრივ-გრამატიკულ ხერხებს სხვადასხვა სახის ტექსტებში, რომლებიც ერთსა და იმავე თემას ეხება (მაგალითად, სასწავლო ტექსტი გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან და მოგზაურის შთაბეჭდილებები);
- ადარებს ერთმანეთს გამომსახველობით ხერხებს სხვადასხვა სახის ტექსტებში (მაგალითად, სტერეოტიპებს რეკლამებში და სიმბოლოებს მხატვრულ ტექსტებში);
- განსაზღვრავს, რა ფორმით არის გადმოცემული სხვისი მეტყველება (პირდაპირი და ირიბი ნათქვამი) და მსჯელობს შერჩეული ფორმის დანიშნულებაზე;

- შეაფასებს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტიანობას ტექსტში;
- ამოიცნობს ავტორის მეტყველების თავისებურებას, მიზნობრივად გამოყენებულ სპეციფიკურ ლექსიკას და მსჯელობს მათს დანიშნულებაზე.

ქართ. IX. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ვრცელი ტექსტის კითხვისას ხელახლა გადაავლებს თვალს ამა თუ იმ ადგილს, აკეთებს ჩანაწერებს, გამოყოფს მნიშვნელოვან თვალსაზრისებს, ჩამოწერს კითხვებს ტექსტის უკეთ გასაგებად;
- სწორად იგებს და სათანადოდ იყენებს იმ მინიშნებებსა და დამატებით ინფორმაციას, რომლებიც გადმოცემულია სათაურის, ილუსტრაციების, ცხრილების, სქემების, განსხვავებული შრიფტის საშუალებით;
- აზუსტებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას; ამოწერს საკითხებს შემდგომი განმარტებისა და დამუშავებისათვის;
- იყენებს სქემებს, დიაგრამებს, ცნებების განმარტებებს, აზრობრივ რუკებს ან სხვა საშუალებებს მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და იდეების გასააზრებლად და დასამუშავებლად;
- იყენებს სხვადასხვა საშუალებას (კონტექსტს, სიტყვათა აგებულების ცოდნას, ლექსიკონს) უცნობი სიტყვის/ფრაზის მნიშვნელობის გასაგებად;
- ადგენს ლექსიკონს და განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას.

მიმართულება: წერა

ქართ. IX. 9. მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს თხზულებას კონკრეტული თემის ან საკითხის შესახებ, რომელშიც აანალიზებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ალტერნატიულ შეხედულებებს;
- საკუთარი შეხედულებების/მოსაზრებების დასასაბუთებლად მოჰყავს სათანადო არგუმენტები;
- განიხილავს მხატვრულ ტექსტში გამოკვეთილ იდეებსა და პრობლემებს ცხოვრებისეულ და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- გამოკვეთს ნაწერში მხატვრული ტექსტის ძირითად იდეას ცალკეული ეპიზოდების, მხატვრული დეტალების, პერსონაჟთა ქმედების, მოტივაციის, მათი ხასიათის, გრძნობებისა და მსოფლმხედველობის გათვალისწინებით;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ტექსტში ასახული პრობლემების მიმართ მისთვის სასურველი ფორმით (მოთხრობის, ნოველის, ესეის, ჩანახატის, ლექსის და ა.შ.);
- საკუთარი თვალსაზრისისა და ემოციურ-ფასეულობითი დამოკიდებულების გამოსახატავად ქმნის პერსონაჟთა შედარებით და შეპირისპირებით დახასიათებებს;
- შესწავლილი ტექსტის კონტექსტის (დრო, ადგილი, ეპოქა, გარემო და ა.შ.) შეცვლით თხზავს ახალ თხზუ-

ლებას იმავე თემაზე, პრობლემაზე.

ქართ. IX. 10. მოსწავლეს შეუძლია დეტალური ინფორმაციის, განსხვავებული თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შესაბამისი მოდელის მიხედვით წერს საინფორმაციო ანგარიშს საკამათო საკითხზე გამართული მინი-დისკუსიის შესახებ;
- სათანადო ფორმის დაცვით შეადგენს მოსწავლეთა სა-დისკუსიო კლუბის, კლასის კრების და ა. შ. სხდომის ოქმს;
- მკაფიოდ და თანამიმდევრულად აყალიბებს ინსტრუქციებს კონკრეტული ამოცანისთვის (მაგალითად, დისკუსიის და დებატების წარმართვის თანამიმდევრობის შესახებ; როგორ ჩაატაროს თანაკლასელმა კონკრეტული ექსპერიმენტი და სხვ.);
- წერს მინი-რეპორტაჟს სასკოლო ღონისძიების შესახებ;
- წერს მიმოხილვითი ხასიათის სტატიას სკოლის გაზეთისათვის, რომელშიც აყალიბებს განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- წერს განმარტებითი ხასიათის ტექსტებს, რომლებშიც იყენებს სხვადასხვა ბეჭდურ და ელექტრონულ ინფორმაციას (საენციკლოპედიო სტატიას, საგაზეთო ინფორმაციას, ინტერნეტს და სხვ.);
- გადმოსცემს სხვათა თვალსაზრისს და უკეთებს კომენტარს.

ქართ. IX. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერისას ითვალისწინებს აუდიტორიის ასაკობრივ, სოციალურ, კულტურულ და სხვა თავისებურებებს;
- სხვადასხვა აუდიტორიისათვის შეარჩევს ტექსტის ტიპს (ლიტერატურული ნარკვევი, მიმართვა, წერილი, რეკომენდაცია, ვებგვერდის სტატია, ესეი და ა.შ.), რათა უპასუხოს მათს მოთხოვნებსა და ინტერესებს;
- კონკრეტული მიზნის მიხედვით ცვლის ტექსტის ტიპს, გადაწყავს ერთი ტიპის ტექსტი მეორეში (მაგალითად, თანაკლასელთა ინფორმირების მიზნით პრესაში გამოქვეყნებული ანგარიშის ტექსტს აყალიბებს თხრობით ტექსტად);
- აუდიტორიის თავისებურებების გათვალისწინებით გამოიყენებს სხვადასხვა დამარწმუნებელ / დამაინტერესებელ საშუალებას (მაგალითად, მოგონებას, ციტატას, იუმორს, პარალელს და სხვ.).

ქართ. IX. 12. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი ტექსტის სტრუქტურა და ენობრივი ნორმები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსხვავებული თვალსაზრისების წერილობით გადმოსაცემად შეარჩევს სპეციფიკურ ლექსიკას, ტერმინებს, ფრაზებს;
- საგანგებოდ გამოყოფს კონკრეტულ თვალსაზრისს შესაბამისი ენობრივი ფორმულებით (მაგ., „როგორც ავტორი ამბობს...“, „ეს თვალსაზრისი მნიშვნელოვანია

იმდენად, რამდენადაც...“) და ამხსნელი სიტყვებით (სინონიმები, განმარტებები ლექსიკონიდან და ა. შ.);

- მსჯელობისას იყენებს სათანადო სინტაქსურ კონსტრუქციებს; მართებულად ასახავს მსჯელობის სასურველ თანამიმდევრობას (მაგ., „პირველ რიგში...“, „ამის შემდეგ...“, „ბოლოს...“);
- სხვადასხვა ტიპის მსჯელობის წერილობით წარმოსადგენად იყენებს შესაბამის კავშირებს, გრამატიკულ ფორმებს, მოდალურ ელემენტებს;
- მკაფიოდ აყალიბებს აზრს, იყენებს დაკავშირებისა და თანამიმდევრულობის შესაბამის ხერხებს;
- ადეკვატურად ასახავს ნაწერში ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელ არავერბალურ ელემენტებს (მიმიკას, სხეულის ენას, ინტონაციას და სხვ.) შესაბამისი საშუალებებით (მრავალწერტილით, კითხვა-ძახილის ნიშნით, შორისდებულებით...).

ქართ. IX. 13. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსხვავებული თვალსაზრისების საპრეზენტაციოდ ქმნის გეგმას;
- მოიძიებს და აჯგუფებს არგუმენტებს განსხვავებული თვალსაზრისების წარმოსაჩენად;
- წინასწარ ჩამოწერს სავარაუდო შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გაუჩნდეს აუდიტორიას;
- წინასწარ აგროვებს მასალას (ციტატებს ნაწარმოებ-

ბიდან, სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებებს, ისტორიულ ფაქტებს და სხვ.), რომლებიც შეიძლება დასჭირდეს განსხვავებული თვალსაზრისების წერილობითი პრეზენტაციისას;

- კითხულობს ნაწერს კორექტირების მიზნით, ასწორებს ტექნიკურ შეცდომებს, ლექსიკონის მიხედვით ამონებს ფორმებს; განმარტავს შესაძლო გაუგებარ ტერმინებს;
- ხმამაღლა უკითხავს ნაწერს თანაკლასელს (მასწავლებელს, მშობელს) და მათი შენიშვნების გათვალისწინებით ჩაასწორებს მას.

საბაზო საფეხურის (VII-IX კლასების) სავალდებულო ლიტერატურა

(ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი შეადგენს საბაზო საფეხურისათვის განკუთვნილი მთლიანი შინაარსის 60 პროცენტს)

1. ლეონტი მროველი - „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება;
2. იოანე მინჩხი - „ჰომინი“(ჟამნი ჩუენნი, ვითარცა სიზმარნი...);
3. არსენ იყალთოელი - „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“ (ვის ნაჭარმაგევს მეფენი...);
4. შოთა რუსთაველი - „ვეფხისტყაოსანი“: „ანდერძი ავთანდილისა“; „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“, „თათბირი ავთანდილისა“, „თათბირი ტარიელისა“.
5. სულხან-საბა ორბელიანი - „ნიგნი სიბრძნე სიცრუისა“: იგავ-არაკები: „მოცინარი და მოტირალი“, „უნაღვლო-

- თა მძებნელი“, „კაცი და გველი“, „კეისრის მაგისტროსი“; „მოგზაურობა ევროპაში“ (მითითებული სახით);
6. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“ (მითითებული სახით); „ქართლის ჭირი“ (ლეკთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა); „დინარი“ (ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო...);
 7. მზეჭაბუკ ორბელიანი - „სიტყვა, თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე“;
 8. ბესიკ გაბაშვილი - „ტანო ტატანო“;
 9. გრიგოლ ორბელიანი - „სადღეგრძელო“: „ჰე, მამულო...“;
 10. ნიკოლოზ ბარათაშვილი - „ბედი ქართლისა“, „ცისა ფერს“, „საყურე“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „არ უკიჟინო, სატრფოო“, „სული ობოლი“, „წერილი მაიკო ორბელიანისადმი“ (მითითებული სახით).
 11. ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“ („მარად და ყველგან...“, „მაგრამ ქართველნო...“, „დედავ ღვთისაო...“), „ქართველის დედას“, „ბაზალეთის ტბა“, „ჩემო კალამო“, „სარჩობელაზედ“, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (მითითებული სახით); „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე“ (მითითებული სახით); „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ (მითითებული სახით); „ერი და ისტორია“ (მითითებული სახით);
 12. აკაკი წერეთელი - „ხატის წინ“, „განთიადი“, „სულიკო“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“;
 13. ვაჟა-ფშაველა - „ჩემი ვედრება“, „იას უთხარით ტურფასა“, „სამეფოს სიმღერა“ (ქალო, გნახე ფეხშიშველი...), „დამსეტყვე, ცაო“, „კაი ყმა“, „ამოდის, ნათდება“, „ენა“ (მითითებული სახით); „ნიჭიერი მწერალი“ (მითითებული სახით);
 14. იაკობ გოგებაშვილი - „ბურჯი ეროვნებისა“ (მითითებული სახით), „რანი ვიყავით გუშინ“ (მითითებული სახით);
 15. დავით კლდიაშვილი - „დარისპანის გასაჭირი“;
 16. მიხეილ ჯავახიშვილი - „მინის ყივილი“, „ეშმაკის ქვა“;
 17. ნიკო ლორთქიფანიძე - „საშობაო მინიატურები“, „ლიტერატურული საღამო“;
 18. გალაკტიონ ტაბიძე - „მამული“, „რაც უფრო შორს ხარ“,

- „(გაგონდება თუ არა...), „მზეო თიბათვისა“, „ნამყე ბეთანი-
ისაკენ“, „შინდისის ჭადრებს“;
19. კონსტანტინე გამსახურდია - „დიდი იოსები“;
 20. ტიცვიან ტაბიძე - „რია-რია“;
 21. პაოლო იაშვილი - „დარიანული“;
 22. ვალერიან გაფრინდაშვილი - „სენტიმენტალური ტრიოლე-
ტი“;
 23. კოლაუ ნადირაძე - „25 თებერვალი“;
 24. გიორგი ლეონიძე - „ნატვრის ხე“: „მარიტა“;
 25. ლადო ასათიანი - „სპარსელ ასულს“;
 26. მირზა გელოვანი - „ნუ მწერ“;
 27. სიმონ ჩიქოვანი - „თბილისის თოვლი“;
 28. ირაკლი აბაშიძე - „ხმა კატამონთან“;
 29. ანა კალანდაძე - „რა ვარ? სტვირი ვარ“, „მოდიოდა ნინო
მთებით“, „ფეხი დამადგით“;
 30. მურმან ლებანიძე - „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“;
 31. რევაზ ინანიშვილი - „ჩიტების გამომზამთრებელი“, „პატა-
რა ბიჭი გოლგოთაზე“;
 32. არჩილ სულაკაური - „არ ვიცი, ამას რა ჰქვია“;
 33. ნოდარ დუმბაძე - „კორიდა“;
 34. მუხრან მაჭავარიანი - „საბა“;
 35. შოთა ნიშნიანიძე - „ცოტნე დადიანი“;
 36. თამაზ ჭილაძე - „ყინწვისი“;
 37. ოთარ ჭილაძე - „როდესაც ასე ახლოა გრემი“;
 38. ჭაბუა ამირეჯიბი - „დათა თუთაშხია“: მოსე ზამთარაძის
ნაამბობი;
 39. რევაზ ჭეიშვილი - „მუსიკა ქარში“: „ლურჯი ფრინველი“;
 40. ნუგზარ შატაიძე - „მოგზაურობა აფრიკაში“.

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

საბაზო საფეხურის (VII-IX კლასების) სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში 87 ერთეულია მითითებული. აღნიშნულია, რომ ეს სავალდებულო მასალა მთლიანი მასალის 60% უნდა შეადგენდეს. ამასთან მასალის კლასებში გადანაწილება სახელმძღვანელოს ავტორების პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, ავტორთა კოლექტივმა საბაზო საფეხურისათვის მოცემული სავალდებულო ლიტერატურა თითოეული კლასის მიხედვით ასე გადაანაწილა:

1. VII კლასი: 29 სავალდებულო საპროგრამო ერთეული + 29 არასაპროგრამო (ავტორთა კოლექტივის მიერ შერჩეული) ერთეული, ე.ი. მთლიანად 58 ერთეული;
2. VIII კლასი: 24 საპროგრამო ერთეული + 18 არასაპროგრამო ერთეული, ე.ი. მთლიანად 42 ერთეული;
3. IX კლასი: 34 საპროგრამო ერთეული + 7 არასაპროგრამო ერთეული, ე.ი. მთლიანად 41 ერთეული.

როგორც ვხედავთ, არასაპროგრამო ერთეულთა რაოდენობა კლასების ზრდის მიხედვით მცირდება, ეს ავტორთა კოლექტივის შეგნებული არჩევანია. სასურველია, მოსწავლეებს დაბალ კლასებში მეტი თავისუფლება ჰქონდეთ. თუმცა მთლიანობაში, საფეხურის შიგნით თანაფარდობა საპროგრამო და არასაპროგრამო მასალას შორის დაცულია: არ გამოგვიტოვებია არც ერთი საპროგრამო ნაწარმოები და არ გადაგვიჭარბებია იმ ლიმიტისათვის, რომელიც ავტორთა კოლექტივს ჰქონდა მიცემული ნაწარმოებთა დამოუკიდებლად შესარჩევად; საფეხურის სამ კლასზე გადანაწილებული 141 ერთეულიდან 87 საპროგრამოა (სავალდებულო) და 54 ავტორთა კოლექტივის მიერ დამატებული.

IX კლასში კი ასეთი ვითარებაა: 41 ერთეულიდან 34 სავალდებულო პროგრამიდანაა აღებული, ხოლო 7 ავტორთა კოლექტივის მიერაა დამატებული.

IX კლასში შეტანილ ნაწარმოებთაგან სავალდებულო-საპროგრამოა შემდეგი ნაწარმოებები:

1. ლეონტი მროველი „მოქცევა მირიან მეფისა“ (თავი VII);
2. იოანე მინჩხი „ჟამნი ჩუენნი...“ (თავი V);
3. არსენ იყალთოელი „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“ (თავი II);
4. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“ – „ანდერძი ავთანდილისა“ (თავი I);
5. დავით გურამიშვილი „დავითიანი“ – „ქართლის ქირი“: „ლეკთაგან დატყვევება“; „სიზმარი ტყვეობასა შინა“; „ტყვეობიდან გაპარვა“ (თავი VII);
6. სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე-სიცრუისა“ – „მოტირალი და მოცინარი“ (თავი VI);
7. მზეჭაბუკ ორბელიანი „სიტყვა, თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე“ (თავი VIII);
8. ბესიკ გაბაშვილი „ტანო ტატანო“ (თავი V);
9. გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელო“ – „ჰე, მამულო“ (თავი V);
10. ნიკოლოზ ბარათაშვილი „ბედი ქართლისა“ (თავი VIII);
11. მისივე „საყურე“ (თავი V);
12. მისივე „არ უკიჟინო სატრფოო...“ (თავი V);
13. ილია ჭავჭავაძე „სარჩობელაზედ“ (თავი I);
14. აკაკი წერეთელი „განთიადი“ (თავი III);
15. ვაჟა-ფშაველა „ჩემი ვედრება“ (თავი I);
16. მისივე „კაი ყმა“ (თავი II);
17. მიხეილ ჯავახიშვილი „მინის ყივილი“ (თავი III);
18. ნიკო ლორთქიფანიძე „საშობაო მინიატურები“ (თავი III);
19. მისივე „ლიტერატურული საღამო“ (თავი III);
20. გალაკტიონ ტაბიძე „მამული“ (თავი III);
21. მისივე „რაც უფრო შორს ხარ“ (თავი V);
22. კონსტანტინე გამსახურდია „დიდი იოსები“ (თავი VII);

23. პაოლო იაშვილი „დარიანული“ (თავი V);
24. ვალერიან გაფრინდაშვილი „სანტიმენტალური ტრიოლეტი“ (თავი V);
25. კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი“ (თავი VII);
26. ლადო ასათიანი „სპარსელ ასულს“ (თავი V);
27. მირზა გელოვანი „ნუ მწერ“ (თავი V);
28. ანა კალანდაძე „მოდიოდა ნინო მთებით“ (თავი V).
29. მისივე „ფეხი დამადგით“ (თავი II);
30. შოთა ნიშნიანიძე „ცოტნე დადიანი“;
31. ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხია“ – „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“ (თავი VIII).
32. ნუგზარ შატაიძე „მოგზაურობა აფრიკაში“ (თავი IV).

IX კლასის სახელმძღვანელოში ავტორთა კოლექტივის მიერ დამატებული (არასაპროგრამო) ნაწარმოებებია:

1. გიორგი შატბერაშვილი „საუკუნო საგზალი“ (თავი II);
2. ივანე ზურაბიშვილი „გაბრიელ ეპისკოპოსი“ (თავი II);
3. რეზო თაბუკაშვილი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ (თავი II);
4. ნიკო ლორთქიფანიძე „გული“ (თავი III)
5. ოთარ ჭილაძე „ადამიანი გაზეთის სვეტში“ (თავი IV);
6. აკაკი წერეთელი „კუდაბზიკეთი“ (თავი VI);
7. რეზო ჭეიშვილი „ნობელი“ (თავი VI).

შინაარსისა და მიზნების რუკა

ტექსტი	კითხვის სტრატეგია	ანალიზის ელემენტები	ტექსტების ენა	სასწავლო დროის ხანგრძლივობა	ესგ-შესაბამისი შედეგები
შოთა რუსთაველი "ავთანდილის ანდერძი"	სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით	მაღალი და დაბალი შაირი	"ვეფხისტყაოსნის" ქართული	6 აკადემიური საათი	IX. 1,4,5, 6,7, 8,9 11, 12, 13

<p>ვაჟა-ფშაველა "ჩემი კედლები"</p>	<p>პერიფრაზი</p>	<p>გარითმვის ხერხები</p>	<p>პარონიმები; როცა მიმდევრობა არსებით სახელად იქცევა</p> <p>კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები;</p> <p>დროის გარემოებითი დამოკიდებული ნინადდება</p>	<p>3 აკადემიური საათი</p>	<p>IX. 1,6,7,8</p>
<p>ილია ჭავჭავაძე "სარჩობელი" ზედ</p>	<p>მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა</p>	<p>კონფლიქტი</p>	<p>ფორმები;</p>	<p>5 აკადემიური საათი</p>	<p>IX. 1, 2 6, 7, 8</p>

<p>კაჟა-ფაჟაველა "კაი ყმა"</p> <p>არსენ იყალთოელი "დავით აღმაშენებ- ლის ეპიტაფია"</p> <p>ანა კალანდაძე "ფეხი დამადგით..."</p> <p>შოთა ნიშნანიძე "ცოტნე დადიანი"</p> <p>გიორგი შატბერაშვილი "საუკუნო საგზა-ლი"</p>	<p>მთავარი აზრისა და დამხმარე დეტალების ამოცნობა</p> <p>ტიქტის პერიფრაზირება</p> <p>დეტალეზე და- კვირება და დასკვნის გამო- ტანა</p> <p>პოეტური ნაწარ- მოების განმარ- ტება</p> <p>ნაკითხულთან მიბრუნება და კითხვის გაგრძე- ლება</p>	<p>ასტროფია</p> <p>ეპიტაფია</p> <p>სტილი- ზაცია</p> <p>განწყობა</p> <p>მთხრო- ბელი</p>	<p>მსაზღვრელ- საზღვრულის ბრუნების გან- სხვავებული მაგალითები</p> <p>ზოგი სიტყვის ისტორია; რთული სიტყვები</p> <p>რით შეიძლება გამოიხატოს კიდევ ზმნები "თქვა" და "უთხრა"?</p>	<p>3 აკადემი- ური საათი</p> <p>1 აკადემი- ური საათი</p> <p>1 აკადემი- ური საათი</p> <p>1 აკადემი- ური საათი</p> <p>5 აკადემი- ური საათი</p>	<p>IX. 1,6, 7,8</p> <p>IX. 6,7, 8,11, 12</p>
---	--	--	---	---	--

ივანე ზურაბიშვილი "გაბრიელ ეპისკოპოსი"	მთავარი აზრისა და დამხმარე დეტალების ამოცნობა	ავტობიოგრაფიული ტექსტი	ჩართული სიტყვები და გამოთქმები; ძველი მართლწერის მაგალითები	4 აკადემიური საათი	IX. 6,7,8, 11, 12
რეზო. თაბუკაშვილი "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი"	მთავარი აზრისა და დამხმარე დეტალების ამოცნობა	ბიოგრაფიული ტექსტი	უცხო სუფიქსებით წარმოქმნილი ქართული სიტყვები	5 აკადემიური საათი	IX. 6,7,8, 11.12
ნიკოლორთქიფანიძე "გული", "სამობაო მინიატურები", "ლიტერატურული საღამო".	ვისწავლით დეტალურად და დასკვნის გამოტანა	მინიატურა		3 აკადემიური საათი	IX. 6,7,8
აკაკი წერეთელი "განთიადი"	მოვიშველით წარმოსახვა	მხატვრული სახე		3 აკადემიური საათი	IX. 6,7,8

მიხეილ ჯავახიშვილი „მინის ყვილი“	თემის განსაზღვრა	თემა	რა განაპირობებს არაერთგვაროვნებას?	5 აკადემიური საათი	IX. 2, 6,7,8
გალაკტიონ ტაბაიძე „მამული“	ნარმოვანების მოშველიება	განწყობა	ანალოგია	1 აკადემიური საათი	IX. 6,7,8,
ოთარ ჭილაძე „ადამიანი გაზეთის სვეტი“	როგორ უნდა ვიკითხოთ თეთრი ლექსი	თეთრი ლექსი	შესიტყვების ინვერსია და მისი გამოყენება მხატვრულ ტექსტში; გავრცობილი შედარება	4 აკადემიური საათი	IX. 2, 3, 6,7,8, 11,12
ნუგზარ შატაიძე „მოგზაურობა აფრიკაში“	თემის განსაზღვრა	თემა	ფარგონი	4 აკადემიური საათი	IX. 2, 3, 6,7,8, 11,12
იოანე მინჩი „შამნი ჩუენნი“	შანრის სპეციფიკის გათვალისწინება	ძველი ქართული სასულიერო პოეზია	თხუთმეტასუკუნოვანი მთლიანობა	2 აკად. საათი	IX.6,7,8

<p>ბესარიონ გაბაშვილი „ტანო ტატანო“</p> <p>ნიკოლოზ ბარათაშვილი „საყურე“, „არ უკიფინო“</p> <p>გალაკტიონ ტაბიძე „რაც უფრო შორს ხარ“</p>	<p>ლექსის რიტმული თავისებურების გათვალისწინება</p>	<p>რთმიანი ცეზურა</p>	<p>ენობრივი დარღვევები გამოწვეული ლექსის საჭიროებით</p>	<p>2 აკად. საათი</p> <p>2 აკადემიური საათი</p> <p>1 აკად საათი</p>	<p>IX.6,7,8</p> <p>IX. 6,7,8</p> <p>IX. 6,7,8</p> <p>IX. 6,7,8</p> <p>IX. 6,7,8</p>
<p>გრეგორიანული „პეტიტო“</p> <p>ვალერიან გაფრინდამილი „სანტიმეტალური ტრიოლტი“</p> <p>პაოლო იაშვილი „დარიანული“</p>	<p>ნარმოსახვის მოშვებები</p> <p>ამოცილებული გარემოს სქემა</p> <p>ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება</p>	<p>ტროპები</p> <p>ტრიოლტი</p> <p>ალიტერაცია და ასონანსი</p>		<p>2 აკად. საათი</p> <p>2 აკად. საათი</p> <p>1 აკად. საათი</p>	

მირზა გელოვანი „ნუ მწერ“	გავითვალისწინონოთ ავტორის ბიოგრაფია	ზუსტი და არაზუსტი რითმა	ლექსის ენა – ძველი და ახალი	2 აკად. საათი	IX.6,7,8
ლადო ასათიანი „სპარსელ ასულს“	მთავარი აზრისა და დეტალების ამოცნობა			2 აკად. საათი	IX.6,7,8
ანა კალანდიაძე „მოდიოდა ნინო მთებით“	ამოვიცნოთ სალექსო საზომი	სალექსო საზომი	გამეორების სტილისტიკური ფუნქცია ლექსში	2 აკად. საათი	IX. 6,7,8
აკაკი წერეთელი „კუდაბზიკეთი“	სატირული ინტონაციის ამოცნობა	სატირა და იუმორი	სიტყვის ეტიმოლოგია	4 აკად. საათი	IX. 2, 3, 6, 7, 8
რეზო ქვიციანი „ნობელი“	იუმორისტული ინტონაციის ამოცნობა	სატირა და იუმორი	ჩართული, როგორც დამოკიდებულების გამომხატვის საშუალება	4 აკად. საათი	IX. 1, 3, 6, 7, 8

სულხან-საბა ორბელიანი „მოტირალი და მოცინარი“	იუმორისტული ინტონაციის ამოცნობა	სატირა და იუმორი		4 აკად. საათი	IX. 1, 2, 3, 6, 7, 8
ლეონტი მროველი „მოქცევა მირიან მეფისა“	ტექსტის პერიფრაზირება	ისტორიული თხზულება	ენის ისტორია-ძველი ქართული	8 აკად. საათი	IX. 6, 7, 8, 11, 12
დავით გურამიშვილი „დავითიანი“ (ნაწ- ყვეტები)	საკუთარი თავის პერსონაჟთან გაიგივება	ავტობიოგრაფიული ტექსტი	ძველისა და ახლის თანაარსებობის მაგალითები	5 აკად. საათი	IX. 6, 7, 8
ნიკოლოზ ბარათაშვილი „ბედი ქართლისა“	გამოვეყნოთ ისტორიული კონტექსტი	ლირიკული გადახვევა	ძველი და ახალი პოემის ენაში	8 აკად. საათი	IX. 1, 6, 7, 8, 11, 12

კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი“	ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება	განწყობა		1 აკად. საათი	IX. 6,7,8,
კონსტანტინე გამსახურდია „დიდი იოსები“	ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება	ავტორი და პერსონაჟი		6 აკად. საათი	IX. 6,7,8,
ჭაბუა ამირეჯიბი „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“	პერსონაჟების შედარება- შეპირისპირება	პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენის ხერხები	ფრაზის ლაკონიზმი, როგორც ტექსტის ნიშანი	6 აკად. საათი	IX. 6,7,8,11, 12

ამას დაემატება სამი ზეპირმეტყველების სემინარისათვის გამოყოფილი 6 საათი და 2 წერის სემინარისათვის გამოყოფილი 6 საათი, აგრეთვე 30 საათი რვეულში მოცემული ენის სავარჯიშოებისათვის, ე.ი. სულ 160 საათი.

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

მეთოდულ კაში ცნობილია სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგი ეტაპები ანუ ფაზები:

- ა. მოტივაცია;
- ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა;
- გ. ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება;
- დ. ძირითადი მასალის გაცნობის შემდეგ (ან პარალელურად) შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ჩვენ ვცდილობდით თითოეული პარაგრაფი სწორედ ამ პრინციპზე აგვეგო, რაც ნათლად ჩანს პარაგრაფის სტრუქტურიდან. მასწავლებელმა უნდა დაეყოს პარაგრაფი გაკვეთილის ხანგრძლივობის შესატყვის მონაკვეთებად და განსაზღვროს თითოეული კონკრეტული გაკვეთილის მიზანი და აქტივობები.

გთავაზობთ გაკვეთილის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს: გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა სამი კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს:

1. რა შედეგს ველი ამ გაკვეთილისგან? ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ (განავითარონ) მოსწავლეებმა?

2. როგორ უნდა მივიღო სასურველი შედეგი?

3. როგორ გავიგო, რომ შედეგი მივიღე?

პასუხი პირველ კითხვაზე არის გაკვეთილის მიზანი; მეორე კითხვა გაკვეთილზე შესასრულებელი აქტივობების დაგეგმვაში დაგვეხმარება; მესამე კითხვა კი შეფასების ფორმების განსაზღვრისთვის არის საჭირო.

ამავე ეტაპზე უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო აუცილებელი პირობები ანუ რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა, რომ დასახული ამოცანის შესრულება შესძლონ (სჭირდებათ თუ არა მათ წინასწარ გარკვეული საკითხების დამუშავება ან ინფორმაციის მოძიება და სხვ.).

სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს აგრეთვე, რა მასალა დასჭირდება მას გაკვეთილის ჩასატარებლად (ნივთები, ციტატები, თვალსაჩინოება...).

ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია გაკვეთილის აღწერა.

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე გაკვეთილის სცენარს.

გაკვეთილი I

გაკვეთილის თემა: გამოკვლევა, გვხვდება თუ არა დაბალი და მაღალი შაირის მონაცვლეობა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის ფარგლებში.

გაკვეთილის მიზანი

- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარის შემოწმება;
- კვლევის უნარის განვითარება;
- ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობები

- ტექსტზე დაკვირვება ჯგუფებში;
- ჯგუფური კვლევის შედეგების პრეზენტაცია ჯგუფის პრეზენტატორის მიერ;
- დასკვნითი (შემაჯამებელი) პრეზენტაცია ერთ-ერთი მოსწავლის მიერ.

საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო (ან „ავთანდილის ანდერძის“ ტექსტი)
- სამუშაო ფურცლები და კალმები
- შემაჯამებელი პრეზენტაციის ინსტრუქცია (დიდი ფორმატის ქალაქზე, რომელიც ყველას დასანახად იქნება გამოკრული კლასში)
- საპრეზენტაციო უნარების შეფასების რუბრიკა (ცალკე ფურცელზე თითოეული ჯგუფისათვის)

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება: სწორი დასკვნა გამოიტანეს თუ არა ჯგუფებმა კვლევის შედეგად (თუ დასკვნები სწორია, მაშასადამე, მათ აქვთ მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი).
- მასწავლებლის დაკვირვება ჯგუფის მუშაობაზე (ორგანიზებულად მუშაობდნენ თუ არა ჯგუფები, დაიცვეს თუ არა დროის ლიმიტი)
- მასწავლებლის დაკვირვება დასკვნით პრეზენტაციაზე და პრეზენტატორის შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (დასკვნითი პრეზენტაციის ინსტრუქცია და საპრეზენტაციო უნარების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმები).

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს და აქტივობებს.
- შემდეგ სთხოვს კლასს, გაიხსენონ, რა არის შაირი და რით განსხვავდება ერთმანეთისაგან შაირის ორი სახეობა: მაღალი და დაბალი შაირი;

10 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად და უნაწილებს „ანდერძის“ სტროფებს (თითოეულ ჯგუფს 4 სტროფი);
- დავალება ასეთია: მოსწავლეებმა უნდა გამოიკვლიონ, გვხვდება თუ არა ერთი სტროფის ფარგლებში მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა.

15 წუთი

- ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ თითოეული ჯგუფის პრეზენტატორი წარმოადგენს კვლევის შედეგებს;
- შემდეგ რომელიმე მოსწავლე (სურვილის მიხედვით) შეაჯამებს კვლევას და გამოიტანს შესაბამის დასკვნას.
- პარალელურად თითოეული ჯგუფი აფასებს დასკვნით პრეზენტატორს ანუ ავსებს შეფასების რუბრიკას და გადასცემს მასწავლებელს.

10 წუთი

- მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აფასებს თითოეული ჯგუფის პასუხს (ადვილი შესაძლებელია,

რომელიმე ჯგუფის პასუხი არასწორი იყო). მასწავლებელი აფასებს დასკვნითი პრეზენტატორის გამოსვლას და თითოეული ჯგუფის მიერ შევსებულ შეფასების რუბრიკას.

5 ნუთი

საშინაო დავალება

- მოსწავლეებს შინ წასაკითხად ეძლევათ „ვეფხისტყაოსნის ქართული“ (რომლის სწორად გაგება-გააზრებას მასწავლებელი კითხვების საშუალებით მომდევნო გაკვეთილზე გაარკვევს და გაუგებარ საკითხებზე (თუ ასეთი იქნება) იმუშავებს მოსწავლეებთან ერთად);
- საწერ დავალებად მიეცემათ „ანდერძის გრამატიკა“.

5 ნუთი

გაკვეთილი II

გაკვეთილის თემა: ოთარ ჭილაძის პოემა „ადამიანი გაზეთის სვეტში“

გაკვეთილის მიზანი

- ოთარ ჭილაძის პოემის ტექსტის გაცნობა-გააზრება;
- ტექსტზე დაკვირვების უნარ-ჩვევების განვითარება;
- თეთრი ლექსის გაცნობა;
- თეთრი ლექსის კითხვის სტრატეგიის გაცნობა-გამოყენება.

აქტივობები

- სახელმძღვანელოს მე-4 თავის დასაწყისში დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ილუსტრაციაზე დაკვირვება.
- არსებული ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება;
- ტექსტზე მუშაობის მოდელირება (ტექსტის ანალიზის ელემენტისა და კითხვის სტრატეგიის გაცნობა)
- ტექსტის კითხვა და პასუხის გაცემა თვითშემომნებისათვის განკუთვნილ კითხვებზე, რომლებიც ტექსტის გასწვრივ, მინდორზეა მოთავსებული.

საჭირო რესურსი

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე
- კითხვებზე პასუხის გაცემა

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი კითხულობს თემის სათაურს და კლასში სვამს სათაურის შემდგომ მოცემულ კითხვას;
- თავის სათაურისა და მოცემული კითხვის გააზრებისთვის შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს 5-წუთიანი ე.წ. „ხელის აუღებლად წერა“

(სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილებინოს აქაც და ყველა თავის დასაწყისში მოცემულ ილუსტრაციებზე).

7 წუთი

- მასწავლებელი, სურვილის მიხედვით, რამდენიმე მოსწავლეს წააკითხვებს ნამუშევარს;
- სიტყვიერი შენიშვნებისა თუ შეფასების შემდეგ გადავა ტექსტის გაცნობამდე მოცემული სამუშაოების შესრულებაზე ანუ საშუალებას მისცემს მოსწავლეებს დააკავშირონ არსებული ცოდნა და გამოცდილება ახალთან, აუხსნის, რა არის თეთრი ლექსი და განუმარტავს თეთრი ლექსის კითხვის სტრატეგიას

15 წუთი

- ვინაიდან მოსწავლეები პირველად ეცნობიან თეთრ ლექსს, სასურველია, პოემა კლასში ხმამაღლა წავიკითხოთ (შესაძლოა დაინყოს მასწავლებელმა – ამ დროს მოსწავლეები აუცილებლად წიგნს ადევნებენ თვალს – და შემდეგ მოსწავლეებმა განაგრძონ);
- ტექსტის გაცნობისას აუცილებლად ვწყვეტთ კითხვას იქ, სადაც შეკითხვებია მოცემული (მარჯვნივ არეზე) და მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს.

20 წუთი

საშინაო დავალება

- დავალებად შესაძლებელია მიეცეთ – *ბიბლიური ალუზია პოემაში* – წასაკითხად;

- რასაკვირველია, მოსწავლეებმა ტექსტი კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხონ შინ ყურადღებით. იმისათვის, რომ ხელმეორედ ტექსტის წაკითხვა მოტივირებული იყოს, შეიძლება მივცეთ დავალება: მოიფიქრონ (კლასის მომზადებიდან გამომდინარე, შეიძლება დაწერონ კიდევაც) პასუხი კითხვაზე, რომელიც მოცემულია *ბიბლიური ალუზიის* შემდეგ.

3 ნუთი

გაკვეთილი III

გაკვეთილის თემა: ოთარ ქილაძის პოემა „ადამიანი გაზეთის სვეტში“

გაკვეთილის მიზანი

- ტექსტის წვდომა-გააზრების უნარის შემოწმება;
- ტექსტის ინტერპრეტაციის უნარის განვითარება;
- გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევის გამომუშავება.

აქტივობები

- ტექსტის შემდეგ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- ტექსტის ქორალური კითხვისთვის მომზადება.

საჭირო რესურსი

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მოსწავლეთა პასუხებზე დაკვირვება
- მოსწავლეთა ქცევასა და აქტივობაზე დაკვირვება

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი გამეორების მიზნით ჰკითხავს მოსწავლეებს, რა არის ალუზია;
- შემდეგ კითხვების მეშვეობით შეამოწმებს, რამდენად შეასრულეს დავალება მოსწავლეებმა (რადგან სახელმძღვანელოში, სრულიად გამიზნულად, მთესველის იგავი ძველქართულადაა მოცემული, სასურველია, მასწავლებელმა გაარკვიოს, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა იგავის შინაარსი. ამისათვის შეიძლება ასეთი კითხვები დასვას: რას ჰყვება იესო? როგორ ხსნის იგი იგავის არსს?);

10 წუთი

- ამის შემდეგ მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ ტექსტის შემდგომ მოცემულ კითხვებს (13 კითხვა), რაც თვალნათლივ დაანახებს მასწავლებელს, რამდენად ღრმად გაიაზრეს მოსწავლეებმა პოემის ტექსტი. ამ პასუხების მიხედვით შესაძლებელია მოსწავლეების ნიშნით შეფასებაც, განსაკუთრებით იმ მოსწავლეების, რომლებიც მაღალი დონის კითხვებს პასუხობენ ადეკვატურად. კითხვათა კლასიფიკაცია სააზროვნო დონეების მიხედვით სახელმძღვანელოშივეა მოცემული.

25 წუთი

- ამ სამუშაოს შემდეგ მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რა არის გუნდური კითხვა. კლასს დაყოფს 4-5 კაციან გუნდებად და თითოეულ გუნდში გამოყოფს ლიდერს, რომელმაც უნდა მოამზადოს გუნდი პოემის კითხვისათვის. სასურველია, იქვე კლასში იქნეს წაკითხული პოემის მცირე მონაკვეთი ნიმუშად.

8 წუთი

საშინაო დავალება

- თითოეულ გუნდს დავალებად მიეცემა, შემდეგი გაკვეთილისთვის მოამზადონ თავთავიანთი მონაკვეთი ქორალური კითხვისთვის და წარმოადგინონ.

2 წუთი

გაკვეთილი IV

გაკვეთილის თემა: ოთარ ჭილაძის პოემის გუნდური ინტერპრეტაცია

გაკვეთილის მიზანი

- ტექსტის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების განვითარება;
- გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოსმენისა და შეფასების უნარის განვითარება.

აქტივობები

- გუნდები წარმოადგენენ პოემის ტექსტის მათეულ ინტერპრეტაციას;

- მოსწავლეები აფასებენ თითოეული გუნდის გამოსვლას (ავსებენ შეფასების რუბრიკას);

საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო
- შეფასების რუბრიკა თითოეული მოსწავლისათვის

შეფასების ფორმა

- დაკვირვება თითოეული გუნდის გამოსვლასა და თითოეული მონაწილის შესრულებაზე და შენიშვნების ჩაწერა.
- თითოეული მოსწავლის მიერ შევსებული შეფასების რუბრიკის გაანალიზება მოსმენისა და შეფასების უნარ-ჩვევის შესამოწმებლად.

გაკვეთილის მსვლელობა

- გუნდებად დაყოფილი მოსწავლეები წარმოადგენენ პოემას;
- მსმენელის როლში მყოფი მოსწავლეები შეაფასებენ გამომსვლელებს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით და შეაფასებენ რუბრიკას.

30 წუთი

- ამის შემდეგ მოსწავლეები სურვილის მიხედვით შეაფასებენ გუნდების გამოსვლას, იტყვიან, რომელი გუნდის შესრულება უფრო მოეწონათ და რატომ, დაასახელებენ საუკეთესო მკითხველს;
- შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილს და შე-

აფასებს საუკეთესო გამომსვლელებს. აკრეფს შევს-
ბულ შეფასების რუბრიკებს და ეტყვის მოსწავლეებს,
რომ გაანაღაზებს მათ და შედეგებს გააცნობს მოსწავ-
ლეებს.

10 წუთი

საშინაო დავალება

- მოსწავლეებს შინ შესასრულებლად ეძლევათ სახელმძ-
ღვანელოში მოცემული წერიტი დავალება;
- მასწავლებელი/მოსწავლე გაკვეთილზე კითხულობს
დავალების პირობას გარკვევით;
- სასურველია, ამის შემდეგ მასწავლებელმა დასვას კით-
ხვა, პირობის გაცნობის შემდეგ ვინმემ ხომ არ აირჩია
ჟანრი (რასაკვირველია, არჩევანის შეცვლა შესაძლებე-
ლია).

5 წუთი

მომდევნო გაკვეთილი მთლიანად დაეთმობა საშინაო და-
ვალების პრეზენტაციას!

გაკვეთილი V

გაკვეთილის თემა: აკაკი წერეთლის იუმორისტული მოთხრობა „კუდაბზიკეთი“

გაკვეთილის მიზანი

- აკაკი წერეთლის მოთხრობის „კუდაბზიკეთის“ ტექსტის გაცნობა;
- სატირული და იუმორისტული ინტონაციის ამოცნობა;
- ლექსიკაზე დაკვირვება.

აქტივობები

- კითხვაზე პასუხის გაცემა და ილუსტრაციაზე დაკვირვება;
- არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირება;
- კითხვის პროცესის მოდელირება (ანალიზის ელემენტი-სა და კითხვის სტრატეგიის გაცნობა);
- ტექსტის კითხვა;
- ლექსიკაზე დაკვირვება.

საჭირო რესურსი

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მოსწავლეთა აქტივობაზე დაკვირვება

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი დასვამს თავის დასაწყისში მოცემულ კითხვას;
- მოსწავლეების ყურადღებას გაამახვილებს ილუსტრაციაზე (შესაძლოა დასვას კითხვა: რა არის სასაცილო ამ ნახატში?);
- შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან თავის შინაარსს. მასწავლებელი იწყებს მუშაობას ტექსტის ნაკითხვამდე შესასრულებელ სამუშაოზე;
- მოსწავლეები უპასუხებენ რუბრიკაში *დავაკავშიროთ* მოცემულ კითხვებს.

7 ნუთი

- შემდეგ მასწავლებელი გადადის შემდგომ რუბრიკაზე *გავაანალიზოთ*;
- მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ – *სატირა* და *იუმორი*;
- მასწავლებელი სვამს კითხვებს, რათა გაარკვიოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ნაკითხული (მასწავლებელმა მკაფიო უნდა გახადოს მოსწავლეებისთვის, რა განსხვავებაა სატირასა და იუმორს შორის, როდის მიმართავს მწერალი ან ერთს, ან – მეორეს, შესაძლოა აქ გავახსენოთ ილიას „კაცია-ადამიანი?!“ და ვკითხოთ, რატომ გამოიყენა ილიამ ეს ხერხი თავისი სათქმელის გამოსახატავად).

15 ნუთი

- ამის შემდეგ მოსწავლეები კვლავ წყვილებში კითხულობენ *კითხვის სტრატეგიას*. მასწავლებელმა კიდევ ერთხელ უნდა მიუთითოს მოსწავლეებს, რას უნდა მიაქციონ ყურადღება ტექსტის კითხვისას.

- რადგან ტექსტი პატარაა, შესაძლებელია იგი კლასში ხმამაღლა წავიკითხოთ (ეს მით უმეტეს სასურველია, რათა მოსწავლეებმა კითხვისას უკეთ იგრძნონ იუმორისტული ინტონაცია).

10 წუთი

- ტექსტის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი წყვილებში ამუშავებს მოსწავლეებს: ერთი მენწყვილეს დაევალება ტექსტში მოძებნოს იუმორისტული ეფექტის მქონე სიტყვები, მეორეს კი – სასაცილო სიტუაციები.

10 წუთი

საშინაო დავალება

- საშინაო დავალებად მოწაფეებს მიეცემათ „ტექსტების ენიდან“ „კუდაბზიკა“, „კუდაბზიკობა“, „კუდაბზიკეთი“ დავალებითურთ.

3 წუთი

მომდევნო გაკვეთილზე დამუშავდება ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოცემული კითხვები!

შეფასების სისტემა, ფორმატი, რეკომენდაციები

შეფასება სწავლა/სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილია ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელ შეფასებას (რომელიც თავის თავში მოიცავს თვითშეფასებასაც) მასწავლებელი იყენებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სწავლების პროცესის მიმდინარეობისას მიღწეულის შეფასებაა, მაგალითად, რაიმე თემის/ტექსტის შესწავლის პროცესი, საშინაო დავალების, პროექტის რომელიმე ეტაპის ან გაკვეთილზე ჩართულობის შეფასებაა. ამგვარი შეფასებისას მოსწავლე მასწავლებლისგან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება, ამდენად, შეფასების ამგვარი ფორმა უფრო მეტად ურთიერთთანამშრომლობითია, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ქულას არ წერს, იგი მონაფეს აძლევს რჩვას, რეკომენდაციას, უჩვენებს პრობლემათა გადაჭრის გზებს, დააფიქრებს საკუთარი აზროვნების პროცესზე და ა.შ.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავიცა და თანატოლიც. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალი ადევნოს საკუთარ პროგრესს. შეფასების ამ ფორმის ხშირად გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს. იგი მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც, რომელიც მეტ ინფორმაციას აგროვებს მონაფეების შესახებ და უფრო მეტად შეუძლია დაეხმაროს მათ.

განმსაზღვრელი შეფასება კი მოსწავლეთა მიღწევებსა და დონეს განსაზღვრავს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა ორიენტირებული, ამდენად ქულის დაწერა სავალდებულო მოთხოვნაა. განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობებს: პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, საკონტროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება ქულის სახითაა მოცემული, რომელიც განსაზღვრავს მონაფის დონეს, შესაბამისად, მას შეიძლება არ ახლდეს შედეგების გასაუმჯობესებლად კომენტარები ან რეკომენდაციები.

განმავითარებელი შეფასების მეთოდები

მასწავლებლის დაკვირვება – ჩანაწერები, კომენტარები მოსწავლის მიღწევების შესახებ. გამოიყენება სწავლების ყოველ ეტაპზე: კითხვებზე პასუხისას, დაფასთან მუშაობისას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას, საკლასო წერისას...

კომენტარი – ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მისი კონკრეტული პასუხისა თუ კონკრეტული დავალების შესრულებისას. ეს შეიძლება იყოს: ქება, გამხნეება, რჩევა, დაფიქრებისკენ მოწოდება, შეცდომის გასწორება.

თვითშეფასების სხვადასხვა ფორმა არსებობს, ყველაზე გავრცელებული თვითშეფასების სქემებია, რომელიც კონკრეტული საჭიროების მიხედვით იცვლება, იმის მიხედვით, თუ რას ვამოწმებთ: ერთ თემას, ერთ გაკვეთილს, ერთ სავარჯიშოს, ფაქტობრივ მასალას, როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარ-ჩვევები, წერით ნამუშევარს და სხვ. ამგვარი სქემები სასურველია მოსწავლეებთან ერთად შემუშავდეს.

წერიტი ნამუშევრის თვითშეფასების ნიმუში:

სახელი გვარი ----- თარიღი -----

როდესაც გადავხედე ნამუშევარს, დავინახე, რომ -----

გავაუმჯობესე -----

ვამაყოფ, რომ -----

კვლავ მჭირდება განმტკიცება -----

შემდგომ წერიტ დავალებაში შევეცდები, რომ -----

გაკვეთილზე საკუთარი საქმიანობისა და შინაგანი, პიროვნული პროცესების თვითშეფასების ნიმუში (პირობითი ნიმუშების გამოყენებით)

- ვპასუხობდი კითხვებს და ჩემს პასუხებს მივყავდით პრობლემის გადაწყვეტამდე (პირობითი ნიმუში მზე);
- ვამატებდი და ვავითარებდი სხვების პასუხებს, ვეხმარებოდი გაკვეთილის „შენობის აგებაში“ (აგურები);
- ვპასუხობდი, მაგრამ როგორც მერე მივხვდი, არცთუ წარმატებულად, რადგან ან სხვის პასუხს ვიმეორებდი, ანდაც სწორ გზას ვცდებოდი. (ჩაშვებული ლუზა)
- ყველაფერი ვიცოდი და მესმოდა, მაგრამ პარტიზანით ვღუმი (სანამ რამეს ვიტყოდი, სხვები მასწრებდ-

ნენ; ვშიშობდი, არასწორად არ მეპასუხა, დაე, სხვებმა იმუშაონ); (დაკეცილი კონვერტი).

- ვდუმდი, რადგან არ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი სხვებს (მოცინარი კაცუნა, რომლის ყურებისკენ მიმართულია ისრები)
- მეძინა, ბუზებს ვითვლიდი, ვოცნებობდი (ნეტა რაზე?), ვფიქრობდი, ვინერდი საშინაო დავალებას (ლრუბლები).

ამგვარად, მოწაფე აფასებს საკუთარ აქტივობას, საკუთარ წვლილს გაკვეთილზე ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში (მასწავლებელმა ყოველთვის არ იცის, რა დგას მოწაფის დუმილს უკან, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რას აირჩევს მოსწავლე: „ვიცოდი და ვდუმდი“, თუ „არ ვიცოდი და ვდუმდი“. მასწავლებელი დროდადრო კრეფს თვითშეფასების ფურცლებს და აშიებზე აკეთებს საკუთარ შენიშვნებს (ძალიან კორექტული და არაკატეგორიული ტონით) მაშინაც, როცა მოსწავლე გადაჭარბებით აფასებს საკუთარ თავს და მაშინაც, როდესაც იგი დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებს (ამგვარ თვითშეფასებაში არის რისკი იმისა, რომ მოწაფემ იეშმაკოს, არაადეკვატურად შეაფასოს საკუთარი თავი, მაგრამ ამგვარი რისკი მაინც გამართლებულია, რადგან ბევრი ბავშვისთვის იგი სტიმულია, რათა მიაღწიოს იმ სასურველ შედეგს, რომელიც ამ ეტაპისთვის მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა).

ბანმსაზღვრელი შეფასების მეთოდები

შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა ზეპირმეტყველებაში

საპრეზენტაციო უნარების შეფასების რუბრიკა

ქულები და კრიტერიუმები	ფრაზი 9-10	კარგი 7-8	საშუალო 4-6	სუსტი 1-3
გამართული და სწორი მენტველება	გამართულად მენტველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ ფრაზებს, რომლებიც გამოიყენებულია საუბარში.	გამართულად მენტველებს, იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს.	იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ ნაკლებად გამოთვლილ საუბარში.	არ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ ნაკლებად გამოთვლილ საუბარში.
სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა	სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად; საკითხს ამოუწერს და ნურავად და თანმიმდევრულად.	სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად; საკითხს ამოუწერს თანმიმდევრულად.	სათქმელს გადმოსცემს გასაგებად.	უჭირს სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა.
კონტაქტი აუდიტორიასთან; თვალსაზრისით უნარების გამოყენება	წარმატებით იყენებს არავერბალურ (ხმის ანეკდოტს, მიმიკა, ფსიქოლოგია) სიმბოლოებს აუდიტორიასთან ჩინოების დასამართლად; იყენებს თვალსაზრისით.	ადეკვატურად იყენებს არავერბალურ საშუალებებს აუდიტორიასთან კონტაქტის დასამართლად.	მეტ-ნაკლებად ახერხებს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას.	ვერ ახერხებს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას.
კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა	ადეკვატურად და ამომწურავად პასუხობს კითხვებს.	ადეკვატურად პასუხობს კითხვებს.	პასუხობს კითხვების ნაბეჭდო მენტს.	ვერ პასუხობს კითხვების ნაბეჭდო მენტს.

საკლასო მსჯელობაში მონაწილეობის შეფასების რუბრიკა

ქულები და კრიტერიუმები	ფრიადი 9-10	კარგი 7-8	საშუალო 4-6	სუსტი 1-3
აქტიური მონაწილეობა	ყოველთვის მონაწილეობს და ხშირად წარმართავს კიდევ საკლასო მსჯელობას.	ყოველთვის მონაწილეობს.	ხშირად მონაწილეობს.	იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს.
გამართული და სწორი მეტყველება	გამართულად მეტყველებს; აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს.	გამართულად მეტყველებს; იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს.	იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ ნებსებს; მეტნაკლებად გამართულად საუბრობს.	არ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ ნებსებს; უჭირს გამართულად საუბარი.
საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას.	თითქმის ყოველთვის ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას.	ხშირად ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას.	ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს.
სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით; კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას, მაშინაც კი, როცა არ ეთანხმება მას.	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით.	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დამთავრებას.	არ უსმენს სხვებს; არ აცდის სხვას საუბრის დამთავრებას.

წერის უნარის შეფასების რუბრიკა

ქულები და კრიტერიუმები	ფრიადი 9-10	კარგი 7-8	საშუალო 4-6	სუსტი 1-3
მიზანი და აუდიტორია	მოხერხებულად იყენებს მიზნის შესაბამის და აუდიტორიის მისაზიდ ენობრივ საშუალებებს.	ჩანს მიზანი, დანერგულია კონკრეტული აუდიტორიისთვის მისთვის გასაგები და მიზნის შესატყვევისი ენით.	ჩანს მიზანი და აუდიტორიის გათვალისწინების მცდელობა.	არ ჩანს მიზანი და აუდიტორია, ანუ რისი თქმუნდა მოსწავლეს და ვისთვისაა განკუთვნილი მისი ნაწერი.
შესაბამისი სტრუქტურა	ზედმიწვევით იცავს ტექსტის შესაბამის სტრუქტურას.	ძირითადად იცავს ტექსტის შესაბამის სტრუქტურას.	ცდილობს დაიცვას ტექსტის შესაბამისი სტრუქტურა.	ვერ იცავს ტექსტის შესაბამის სტრუქტურას.
დამხმარე დეტალები	წარმატებით იყენებს დამხმარე დეტალებს სათქმელის უკეთ წარმოსაჩვენად.	იყენებს დამხმარე დეტალებს.	იყენებს ერთ ან ორ დამხმარე დეტალს.	არ იყენებს დამხმარე დეტალებს.
ენობრივი მახასიათებლები (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა)	იყენებს შესაფერის და მდიდარ ლექსიკას; თითქმის არ უშვებს შეცდომებს.	იყენებს შესაფერის ლექსიკას; უშვებს მცირე შეცდომებს.	იყენებს შესაფერის, მაგრამ ღარიბ ლექსიკას; უშვებს შეცდომებს.	იყენებს შეუფერებელ ლექსიკას; უშვებს ბევრ შეცდომას.

ეს ზოგადი კრიტიერიუმები უფრო კონკრეტულ სახეს მიიღებენ იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული ტიპის ტექსტის შეფასებაზე იქნება საუბარი. მაგალითად, თუ თხრობითი ხასიათის ტექსტს ვაფასებთ (ვთქვათ, მოთხრობას), „შესაბამისი სტრუქტურის დაცვა“ გულისხმობს: არის თუ არა თხრობა თანმიმდევრული, გამოკვეთილია თუ არა დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. „დამხმარე დეტალებში“ შეიძლება ვიგულისხმოთ: მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, პერსონაჟის ხატვის ხერხები, დიალოგი, ან სულაც მოსწავლის მიერ ჩართული ილუსტრაციები და ფოტომასალა. მიზანი კი მაშინ იკვეთება, როცა ჩანს მოსწავლის განზრახვა, რა სურს მას – აუდიტორიის გაცინება, გართობა, დაინტერესება, დარწმუნება, თუ მისთვის ინფორმაციის მიწოდება. ამისთვის მან შესაბამისი ხერხები უნდა გამოიყენოს. მაგალითად, თუ აუდიტორიის გაცინება სურს, რაიმე იუმორისტული ხერხი უნდა გამოიყენოს, წარმოაჩინოს ამბავი სასაცილო კუთხით და ა.შ.

ამა თუ იმ უნარის შესაფასებელი ქულა რუბრიკაში მოცემული კრიტიერიუმების მიხედვით მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული იქნება.

საჭირო რესურსები

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები; თბილისი, 2008.
2. სწავლება და შეფასება; თბილისი, 2008.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო; თბილისი, 2008.
4. დიდი ნიგნების ერთობლივი კითხვა; http://www.tpdg.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka
5. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; 2007.
6. ტესტური დავალებების შექმნის ხელოვნება; 2009.
7. როგორ ვასწავლოთ აზროვნება; 2008.
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; 2008.
9. რობერტ ჯ. მარზანო და სხვ., ეფექტური სწავლება სკოლაში; 2009.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

- ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;**
- ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;**
- გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;**
- დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;**

- ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;
- ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;
- ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;
- თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

